



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/188

ქ. თბილისი

25 ივლისი 2018

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის შექმნისა და მისი
დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ. გაბისონიას, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. შეიქმნას სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესტექნოლოგიების და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაზაზე თვითდაფინანსებითი საუნივერსიტეტო „ინოვაციების ცენტრი“;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
 წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
 დადგენილება № 01-06-02/68

ქ. თბილისი

24 ოქტომბერი 2018


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის შექმნისა და მისი
 დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-04/188 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 24 ოქტომბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შეიქმნას სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესტექნოლოგიების და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაზაზე საუნივერსიტეტო „ინოვაციების ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.


სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


 ჯემალ გაბაშვილი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

„ინოვაციების ცენტრი“

Handwritten signature on the left side of the page.

Handwritten signature on the right side of the page.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

მიერ 2018 წლის 25 ივლისს № 01-05-04/128 დადგენილებით

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს

მიერ 2018 წლის 24 ივნისს № 01-06-02/68 გადაწყვეტილებით.

Handwritten signature on the bottom left side of the page.



Handwritten signature on the bottom right side of the page.

თბილისი
2018 წ.

1. ზოგადი დებულებები:

- 1.1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინოვაციების ცენტრი“ (შემდგომში – ინოვაციების ცენტრი) დაფუძნებულია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ინიციატივით, ევროკავშირის Erasmus+“-ის საგრანტო პროექტის - „ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში“ (Enhancing Innovation Competences and Entrepreneurial Skills in Engineering Education - „InnoCENS“ 573965-EPP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP) მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად და ის ფუნქციონირებს თვითდაფინანსების პრინციპით;
- 1.2. სტუ-ს „ინოვაციების ცენტრი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1.3. რექტორის და აკადემიური საბჭოს მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა.

2. ცენტრის ფუნქციები და ამოცანები

„ინოვაციების ცენტრის“ ფუნქციები და ამოცანები განისაზღვრება ევროკავშირის Erasmus+“-ის საგრანტო პროექტის - „ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში“ (Enhancing Innovation Competences and Entrepreneurial Skills in Engineering Education - „InnoCENS“ 573965-EPP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP) მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად:

- 2.1. პედაგოგიკის ინოვაციური მეთოდების შემუშავებისა და მისი სასწავლო პროცესში შემდგომში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება;
- 2.2. წარმატებული კარიერის სისტემური მახასიათებლების შესწავლა და ორგანიზება;
- 2.3. სწავლის შედეგების შეფასების ინოვაციური მეთოდების შემუშავება და შესაბამისი პროექტების მომზადება;
- 2.4. ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობის განვითარება;
- 2.5. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინოვაციური და სამეწარმეო უნარების და იდეების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

- 2.6. ინოვაციებთან და მეწარმეობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების (სილაბუსების) და სასწავლო გეგმების (კურიკულუმების) შემუშავების პროცესის ხელშეწყობა;
- 2.7. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის და სწავლების ინოვაციური მეთოდის შედეგების გაცნობისათვის კონფერენციების, ტრენინგების და სემინარების მოწყობა;
- 2.8. სამეწარმეო სულისკვეთებისა და ბიზნეს ცნობიერების განვითარების მიზნით საუნივერსიტეტო გარემოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის ხელშეწყობა;
- 2.9. დასახული მიზნების მიღწევის მიზნით საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა.

3. ცენტრის სტრუქტურა და მართვა

- 3.1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ს რექტორი;
- 3.2. უნივერსიტეტის ან/და ფაკულტეტების წარდგინებით იქმნება სპეციალური საბჭო, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი და რომელიც კოორდინაციას უწევს ცენტრის საქმიანობას ფაკულტეტებზე;
- 3.3. ცენტრის პერსონალი შედგება სამეცნიერო, სასწავლო და დამხმარე პერსონალისაგან;
- 3.4. ცენტრის პერსონალი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე;
- 3.5. იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში მიღებული წესის და ფორმების შესაბამისად.

4. ცენტრის უფროსი უფლებამოსილია

- 4.1. განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა და სხვა აუცილებელი საქმიანობა;
- 4.2. კომპეტენციის გათვალისწინებით მოამზადოს წინადადებები და რექტორთან შეთანხმებით განსახილველად წარუდგინოს სტუ-ს შესაბამის ორგანოებს;
- 4.3. ცენტრის უფროსს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა ცენტრის საქმიანობის მიმართულებების შესრულების ვადების, შინაარსისა და ხასიათის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ცენტრის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენების, შენახვისა და გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის;
- 4.4. განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა.

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. დებულება ძალაშია სტუ-ს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;
- 5.2. ინოვაციების ცენტრის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკა განისაზღვრება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად;
- 5.3. ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ხელშეკრულებები, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით;
- 5.4. დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავენ ცენტრის უფროსი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;
- 5.5. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- 5.6. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

Georgian Technical University LEPL

“Innovations Center”

of Georgian Technical University LEPL

Regulations

Adopted by

Academic Council of Georgian Technical University

On 2018 By

Decree №

approved by Decree №

of the Council of Representatives

as of 2018

Tbilisi 2018

1. General provisions

- 1.1. “Innovations Center” of Georgian Technical University LEPL (hereinafter GTU) is established with the initiative of faculty of Law and International Relations, faculty of Business Technologies and faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences within the scope of the liabilities covered under the grant project of EU Erasmus+ “Enhancing Innovation Competences and Entrepreneurial Skills in Engineering Education – “Inno CENS 573965-EEP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP. “Innovations Center” operates by the self-funding principle.
- 1.2. The Center operates its activities in line with the Constitution of Georgia; “Law of Georgia on Higher Education”; Charter of Legal Entity of Public Law – GTU; This provision and the legislation that is effective in Georgia;
- 1.3. Special discussion can be held to discuss the reports of the Center, if requested by the Rector and the Academic Council.

2. Duties and tasks of the Center

Functions of the “Innovations Center” are defined in line with the duties and tasks of the grant project of EU Erasmus+ “Enhancing Innovation Competences and Entrepreneurial Skills in Engineering Education – “InnoCENS 573965-EEP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP:

- 2.1. Adoption of innovative teaching methods and preparation of applicable project to provide further inclusion into teaching process;
- 2.2. Study and organize system characteristics of successful career;
- 2.3. Adoption of innovative methods for grading study outcomes and preparation of applicable projects;
- 2.4. Within the competence of the Center, building relations and develop cooperation with international and local governmental and non-governmental organizations;
- 2.5. Support development of innovative ideas of students and professor-teachers;
- 2.6. Support the process of learning programs (syllabuses) and teaching plans (curriculums) adoption related to innovations and entrepreneurship;

- 2.7. Arrange trainings, seminars and conferences to report outcomes of innovative teaching methods and professional development of academic staff;
- 2.8. Promote the creation of an innovative ecosystem in the university environment for the development of entrepreneurial spirit and business consciousness;
- 2.9. Participation in grant programs with the purpose of achieving goals.

3. Structure and management of the Center

- 3.1. “Innovations Center” is managed by the Head of the Center, who is appointed and dismissed by the Rector of GTU;
- 3.2. Special board, that coordinates the activities of the Center in Faculties is presented by the University and/or Faculties and must be approved by the Rector of GTU;
- 3.3. The staff of the Center consists of scientific, educational and supporting staff;
- 3.4. The staff of the Center is appointed and dismissed by the Rector, upon the submission of the Head of the Center;
- 3.5. Contracts with legal entities and individuals is concluded in accordance with the rules and forms adopted by the University.

4. Head of the Center is entitled to:

- 4.1. Provide various activities necessary for effective management and functioning of the Center;
- 4.2. Considering competences, prepare proposals and submit to the relevant bodies of GTU, with the agreement of the Rector;
- 4.3. Head of the Center, within the scope of his/her competence, is responsible for the terms of performance of the Center, its content and the nature, as well as to use, maintain, and provide proper operation of the property owned by the University, delivered with the right of usage;
- 4.4. Carry out other essential activities related to effective management and functioning of the Center.

5. Final provisions

- 5.1. These Regulations are valid from the moment of approval by the Council of Representatives;
- 5.2. The policy of regulating financial relations of Innovations Center with Georgian Technical University is determined by the rules that apply to the Georgian Technical University;
- 5.3. Financial and accounting reporting forms, contracts, receipt acts and other written acknowledgments are regulated by GTU internal administrative acts;
- 5.4. Any changes or additions to this provision must be carried out by the head of the center, discussed by Academic Council and approved by the Council of Representatives;
- 5.5. This resolution becomes ineffective in case of approval of the new resolution or liquidation of the center;
- 5.6. Reorganization or liquidation of the center should be carried out in accordance with the rules established by the administrative acts of GTU.

GTU Innovation Center




Head of the Center

**Honorary
Members
(Ambassadors)**



Representatives of Faculties



**Erasmus+ KA2 (CBHE-JP)
Project "INNOCENS"**

**Business Incubator
(FAB LAB + Startup Academy)**

**Erasmus+ CBHE
Project "PRINTeL"**

**BRITISH COUNCIL (UK) -
CREATIVE SPARK: HIGHER
EDUCATION ENTERPRISE
PROGRAMME**

**TEACHING STAFF
DEVELOPMENT CENTRE
(TSDC)**

Short activity plans for TEACHING STAFF DEVELOPMENT CENTRE (TSDC) of GTU

#	Activities	Time period	Target Numbers
1	THE TRAINING OF TRAINERS (TOT) COURSES – 5 Groups from GTU	November-December, 2018	11 Trainers
2	<p>Training course implementation at GTU TEACHING STAFF DEVELOPMENT CENTRE (based on project PRINTeL Experience)</p> <ul style="list-style-type: none"> • Active Learning, with special focus on Technology Enhanced Collaborative Learning; • Active learning & ICT-enhanced teaching: m-learning & gamification; • Video as a Learning tool for teachers & students: Video Lecturing & promoting Interaction in the Classroom; • Active Learning in the Flipped Classroom; • Hybrid/Blended Teaching & Learning; 	Januar-March, 2019	5 Groups 110 Teaching Staff
3	Selection of students academic group from 10 Faculties and starting implementation methods of Innovation Pedagogy	March –August, 2019	15 Groups 500 Students
4	Parallel work for implementing project PRINTeL work plans	2018-2019	